ძუძუს კიბოს სკრინინგ პროგრამის ეფექტურობის შეფასება საქართველოში

მაგისტრი: ნათია ქემერტელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრატურის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა ბურჯანაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაგისტრი: ნათია ქემერტელიძე

02.07.2022

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ძუძუს კიბოს სკრინინგ პროგრამის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ძუძუს კიბო ავადობით ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს. როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოში ამ დაავადებასთან ბრძოლას დიდი ყურადღება ექცევა. სკრინინგ პროგრამა განიხილება, როგორც ერთ-ერთი მთავარი იარაღი მასთან საბრძოლველად. ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა დაედგინა რამდენად ეფექტურია სკრინინგ პროგრამა, ახდენს თუ არა რეალურად დააბვადების დროულ იდენტიფიცირებას და ახდენს თუ არა დადებით ზეგავლენას ქალთა ჯანმრთელობაზე. კვლევის ჩასატარებლად შეირჩა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. კვლევაში მონაწილობა მიიღო 76 რესპოდენტმა, რომელთა ასაკი იყო 20-და 70 წლამდე. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 51,3% ფიქრობს პროგრამა საქართველოში ეფექტურად მუშაობს. ასევე, 51,31% ფიქრობს რომ პროგრამა ახდენს დაავადების დროულ იდენტიფიცირებას. კვევაში მონაწილეთა 100% ურჩევს სხვებს ისარგებლონ ძუძუს კობოს სკრინინგ პროგრამით. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ძუძუს კიბოს სკრინინგ პროგრამა კარგად მუშაობს და დადებით გავლენას ახდენს ქალთა ჯანმრთელობაზე.

ძრითადი საკვანძო სიტყვები: მამოგრაფია, სკრინინგი, ძუძუს კიბოს სკრინინგ პროგრამა, ავადობა.

Abstract

There is discussion abouT The benefits and risks of breast cancer screening programme in the text. Breast cancer occupies one of the leading places in terms of morbidity. Both in the world and in Georgia, great attention is paid to the fight against breasT cancer. Mammography screening program is considered as one of the main weapons to fight it. The purpose of the study was to determine how effective the screening program is, Does it actually identify pregnancy in time? Does it have a positive impact on women's health. Quantitative research method was chosen to conduct the research. 76 respondents aged between 20 and 70 took part in the research. The research showed that 51.3% of respondents think that the program works effectively in Georgia. Also, 51.31% think that the program identifies the disease in time. 100% of research participants recommend others to use the breast cancer screening program. Research has shown that the breast cancer screening program in Georgia works well and has a positive impact on women's health.

Keywords: mammography, screening, breast cancer screening program, morbidity.